



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 41

2014 წლის 25 სექტემბერი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შპ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო ტექნიკის გადაცემასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო ტექნიკის გადაცემასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესამუშავებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- დავით თუშიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- გია გორთამაშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- მერაბ თუშიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- სესე ჩახუტაშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- გელა სეხნიაშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი